

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ

2014 წლის 2 სექტემბერს, ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მოკლულ იქნა 25 წლის ლაშა მახარაძე. მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ოქროპირიძე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა დააკავეს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე და სამშვიდობო მისიის ჩარევის შემდეგ, 2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს გადმოსცეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ბრალდებულმა ოქროპირიძემ მოითხოვა მისი საქმის სასამართლოზე განხილვა, ნაფიცი მსაჯულების მიერ.

2015 წლის 5 ივნისს გაიმართა სასამართლო პროცესი, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მათ ვერ შეძლეს ვერდიქტის გამოტანა, რაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ეფექტურობაზე დებატების საფუძვლად იქცა საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ დღემდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ათამდე საქმეა განხილული და ეს შემთხვევა პირველია, როცამათ ვერდიქტი ვერ გამოიტანეს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოს სამართლებრივი კულტურისთვის უცხო არაა. ქართული ჩვეულებითი სამართლის ნაწილი იყო ნაფიც მსაჯულთა მსგავსი კრება საქართველოს მთიანეთში: „ხევსურეთში მტყუან-მართლის გარჩევა ხდებოდა 4 ან 12 კაცისაგან შემდგარი კრების მიერ, რასაც რჯული ეწოდებოდა“.¹ რუსეთის იმპერიამ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ეს ჩვეულებითი ინსტიტუტი გააქრო.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის აღდგენის აქტიური მხარდამჭერი გახლდათ ილია ჭავჭავაძე: „მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური

¹ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო-წარმოშობის და განვითარების მოკლე ისტორია. საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი 2010 წ. გვ 16.

კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიამღლეზე დაყენებული“.

ნაფიც მსაჯულთა რეფორმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირობებში მოხდა, კერძოდ, 1919 წელს ეროვნულმა საბჭომ და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს დებულება - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა: ნაფიც მსაჯულთა მიერ განსჯადი საქმეების ჩამონათვალი, საქმის განხილვის წესი და მსაჯულთა უფლებამოსილებები. მოგვიანებით კი, ამ ინსტიტუტის კონსტიტუციური გარანტიები შეიქმნა. კერძოდ, 1921 წლის კონსტიტუციის 81-ე მუხლი ამბობს, რომ „მძიმე სისხლის სამართლის და აგრეთვე, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისთვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“. თუმცა 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებასთან ერთად, საბჭოთა რეჟიმმა განადგურდა ყველა ის ინსტიტუტი, რომელიც ასოცირდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობასთან; მათ შორის იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სიმბოლო.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 14 წლის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დაბრუნდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით აღსდგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, 2010 წლიდან კი დაიწყო მოქმედება.

როცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ იღებს

გადაწყვეტილება უნარო ნაფიცი მსაჯულები აფერხებენ ეფექტურ მართლმსაჯულებას, ამიტომ მნიშვნელოვანია იმ მიზეზთა განხილვა, რაც ხელს უშლის ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის გამოტანისას კონსესუსის მიღწევაში.

საქართველოში მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამერიკული მოდელი, რომლის დროსაც საქმის განხილვაში ძირითადად მონაწილეობს 12 ნაფიცი მსაჯული. ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის გამოსატანად აქვთ 3 საათი, რა დროშიც მათ ერთსულოვნად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება; თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ვერდიქტის გამოტანა ხდება მომდევნო 6 საათში, უმრავლესობის პრინციპით.

- თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით;
- თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით;
- თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით;
- თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით;
- თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით.

თუ ექვსი საათის განმავლობაში, ვერდიქტს ვერ მიიღებენ, მაშინ სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მსაჯულებს კიდევ ერთხელ განუმარტავს ვერდიქტის მნიშვნელობას და დამატებით კიდევ 3 საათს მისცემს მათ შეთანხმების მისაღწევად.

თუ ამ სამ საათშიც ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ ნაფიცი მსაჯულები ცხადდებიან უუნაროდ, მოსამართლე მათ სრული შემადგენლობით ითხოვს და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს.

გადაწყვეტილება უნაროდ მსაჯულების შემთხვევა გათვალისწინებულია ინგლისში, შოტლანდიაში, კანადაში, ავსტრალიასა და აშშ-ში, სადაც პროცესი ინიშნება ხელახლა, ახალი მსაჯულების მონაწილეობით.

ვერდიქტის გარეშე დასრულებული საქმეების კვლევის² შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობს რამდენიმე ძირეული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე; ესენია:

სუსტი მტკიცებულებები - მხარეების მიერ არადადამაჯერებელი, ბუნდოვანი ან არასრული მტკიცებულებების წარდგენა სასამართლო პროცესზე ხელს უშლის ნაფიც მსაჯულს, რომ ჩამოუყალიბდეს კონკრეტული პოზიცია ვერდიქტის გამოტანისას.

მტკიცებულებათა სიმცირე - საქმეში საკმარის მტკიცებულებათა არარსებობა: როცა, ძირითადად, არის მხოლოდ ერთი მტკიცებულება, რომელიც ფაქტობრივ დასაბუთებას მოკლებულია და როგორც წესი, ეს მსაჯულებში ორაზროვნებას იწვევს, მათ ჩიხში შესავლას უწყობს ხელს.

² Thomas Munsterman. Hung Juries: Are They a Problem?

მოწმეთა სანდოობა - თუ საქმეში არსებული მოწმეები გამოძიებისას რამდენჯერმე ცვლიან ჩვენებას ან ორაზროვან ჩვენებებს აძლევენ, ეს მსაჯულებს მათ მიმართ უნდობლობის განცდას უჩენს და ამ ჩვენებებზე დაყრდნობა უჭირთ.

ნაფიც მსაჯულთა თათბირის პრობლემატრობა - თუ ნაფიც მსაჯულებს აქვთ განცდა, რომ მათი თათბირის საიდუმლოება არაა დაცული ან განიცდიან ზეწოლას, ეს მათთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს კონსენსუსის მიღწევაში.

უსამართლობის განცდა - თუ ბრალდების მხარე ვერ ასაბუთებს საკუთარ პოზიციას მყარი არგუმენტებით და მისი სუბიექტურობა აშკარად გამოკვეთილია მტკიცებულებათა გამოკვლევისას ან საქმის გამოძიება მიმდინარეობდა არაჯეროვნად (მაგალითად - პროცესის გაჭიანურება), ამ დროს, მსაჯულებში დიდია უსამართლობის განცდა და უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, რაც ხელს უშლის ვერდიქტის გამოტანას.

ლიდერი მსაჯულები თათბირის დროს - თუ მსაჯულებს შორის არის ლიდერის თვისებების მქონე 1 ან 2 მსაჯული, ამ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ მსაჯულთა თათბირის მიმდინარეობაზე; კერძოდ, სხვა მსაჯულების აზრის ფორმირებაზე. ამან კი, შესაძლოა, გაართულოს კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი შემთხვევაა საქართველოში, როცა ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ შეძლეს ვერდიქტის მიღება, მნიშვნელოვანია, სრულად იყოს გამოკვლეული პროცესის გარშემო არსებული ყველა გარემოება, რათა ხელი არ შეეშალოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კონსტიტუციური რეფორმის ეფექტურ განხორციელებას.